

# საქართველოს მთავრობის



საქართველო  
მთავრობის საკუთრებულის ეროვნული ბანდერი «საქართველი»

## პრემია

U 901

სასაჩვალო მოღილი:

პურის ცომის მომზადების ხერხი

ააგენციალობრივი:

გელა სულაბერიძე

ავთორი:

გელა სულაბერიძე

პალატა:

2001 11 19 – დან



თბილისი

ნ. ჭავჭავაძე

დავით გაგანია

განერალური აირეაქტორი

## ს ა პ ა რ თ ვ ე ლ ო

(19) ინტელექტუალური  
საკუთრების  
ეროვნული ცენტრი  
“საქართველო”



(11) GE U 2002 901 U

(51)<sup>7</sup> A 21 D 2/36

## (12) სასარგებლო მოდელზე პატენტის აღმორილობა

(21) AU 2001 001010

(22) 2001 11 19

(24) 2001 11 19

(45) 2002 05 10 № 9

(76) გელა სულაბერიძე (GE)  
380086, თბილისი, ვაჟა-ფშაველას  
გამზ. VI ქვარტ.,  
კორპ. 34, ბ. 24 (GE)

(56) თარხნიშვილი ა. კვების  
პროდუქტების ზოგადი  
ტექნოლოგია, თბ.,  
განათლება-1982, გვ. 190

GE

901 U

(54) პურის ცოგის მომზადების ხერხი

(57) 1. ტექნიკური შედეგი

საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეტის, კუჭ-ნაწლავის  
ლორწოვანის სისხლმომარაგებისა და პურის საგემოვნო თვისებების გაუმ-  
ჯობესება.

2. პრსი

ხერხი ითვალისწინებს ხორბლის ფქვილში სითხის სახით წიწაკის  
წყლიანი ექსტრაქტის შეტანას, საფუარისა და მარილის დამატებას,  
მოზელებასა და დაყოვნებას.

3. გამოყენების სფერო

კვების მრეწველობა და მედიცინა.

## სასარგებლო მოდელზე პატინტის აღჭრილობა

სასარგებლო მოდელი განეკუთვნება კვების მრეწველობას და მედიცინას და ეხება პურის ცომის მომზადების ხერხს.

საყოველთაოდ ცნობილია პურის ცომის მომზადების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ხორბლის ფქვილზე წყლის დასხმას, საფუარისა და მარილის დამატებას, მოზელვას და დაყოვნებას.

აღნიშნული ხერხით დამზადებული ცომისგან გამომცხვარი პური ნაკლებალ ასტიმულირებს საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციას და არ იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანის სისხლმომარაგების გაუმჯობესებას, რაც შესაბამისად აუერხებს საკვების სრულფასოვან მონელებას, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის დაავადებების მქონე და ასაკოვან პირებში.

სასარგებლო მოდელის ტექნიკური შედეგია საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციის, კუჭ-ნაწლავის ლორწოვანის სისხლმომარაგებისა და პურის საგემოვნო თვისებების გაუმჯობესება.

სასარგებლო მოდელის არსია ის, რომ ხერხი ითვალისწინებს ხორბლის ფქვილში სითხის სახით წიწაკის წყლიანი ექსტრაქტის შეტანას. საფუარისა და მარილის დამატებას, მოზელვასა და დაყოვნებას.

წიწაკის ექსტრაქტში შემავალი აქტიური ნივთიერებები იწვევს საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერებას და კუჭ-ნაწლავის ლორწოვანის სისხლმომარაგების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, წიწაკის ექსტრაქტი აუმჯობესებს პურის საგემოვნო თვისებებს.

ხერხი ხორციელდება შემდეგნაირად: დისპერგირებულ წიწაკას ასხამენ მდუღარე წყალს მასური თანაფარდობით 1-2,5:100, აყოვნებენ ერთი საათის განმავლობაში. მიღებულ ექსტრაქტს ამატებენ წყალს მოცულობითი თანაფარდობით 1:10-15 და კარგად ურევენ. საბოლოოდ მიღებულ წყლიან ექსტრაქტს ასხამენ ხორბლის ფქვილს მასური თანაფარდობით 3-4:5 და ზელენ. ცომს ამატებენ საფუარსა და მარილს, კვლავ ზელენ და შემდგომ აყოვნებენ გაფუებამდე, რის შემდეგაც ცომი მზადაა გამოსაცხობად. ცომის მომზადების დროს მასური თანაფარდობები ისეა შერჩეული, რომ საბოლოო პროდუქტი პური შეიცავს წიწაკის ექსტრაქტს ისეთი რაოდენობით, რომელიც არ იწვევს კუჭ-ნაწლავის გაღიზიანებას.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ხერხით მზადდება ცომი, რომლისგანაც ცხვება კარგი საგემოვნო თვისებების მქონე პური, რომელიც

ასტიმულირებს საჭმლის მომნელებელი სეკრეტების სეკრეციას და აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ლორწოვანის სისხლმომარაგებას, რაც საბოლოოდ სრულფასოვანს ხდის საკვების მონელებას.

### სასარგებლო მოდელის ფორმულა

პურის ცომის მომზადების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ხორბლის ფქვილში სითხის შეტანას, საფუარისა და მარილის დამატებას, მოზელვასა და დაყოვნებას, განსხვავდება იმით, რომ სითხის სახით შეიტანება წიწაკის წყლიანი ექსტრაქტი.



## 06-იული 2017 წლის საკუთრების მომდევნობის ცენტრი

### “საქართველოს სამურადლებო კატეგორიაზაციის სამსახური”

#### კატეგორიაზაციის სამსახური

სასარგებლო მოდელის კატეგორიაზაციის გაიცემა საპატენტო ექსპერტის შედეგად, რომელიც ითვალისწინებს ფორმალური მოთხოვნებისა და სიახლის ექსპერტიზას.

სიახლის ექსპერტიზა ტარდება “საქართველოში” რეგისტრირებული განაცხადებისა და გაცემული პატენტების გათვალისწინებით საქართველოს საპატენტო კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, და ამავე კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რომელიც ადგენს: “თუ “საქართველოში” ერთსა და იმავე სასარგებლო მოდელზე სხვადასხვა დროს არის წარდგენილი ორი ან რამდენიმე განაცხადი, პატენტი გაიცემა პირველ განმცხადებელზე”.

“საქართველო” არ ამოწმებს პატენტუნარიანობის ყველა კრიტერიუმს, გათვალისწინებულს საქართველოს საპატენტო კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლის თანახმადაც: “პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს”.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობაზე დავის შემთხვევაში, საპატენტო კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულ პატენტუნარიანობის კრიტერიუმების მოთხოვნებთან სრული მოცულობით შესაბამისობის მტკიცება ეკისრება თავად პატენტმფლობელს.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად სასარგებლო მოდელის პატენტი ანიჭებს მის მფლობელს გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს საპატენტო კანონის მე-5 მუხლის თანახმად სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 8 წლით "საქართვენტში" განაცხადის შეტანის თარიღიდან (დგინდება ექსპერტიზის პერიოდში).

პატენტმფლობელის მოვალეობაა, თუ კი მას სურს პატენტის ძალაში შენარჩუნება, ყოველწლიურად გადაიხადოს ძალაში შენარჩუნების წლიური საფასური დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც ყოველი შემდეგი წლის შენარჩუნების საფასური პატენტმფლობელმა უნდა გადაიხადოს შესანარჩუნებელი წლის დაწყებამდე. თუ შენარჩუნების საფასური არ დაიფარა ამ პერიოდში, მაშინ პატენტის მოქმედება შეწყდება აღდგენის უფლებით. გათვალისწინებულია 6-თვიანი საშეღავათო ვადა - შესანარჩუნებელი წლის პირველი 6 თვე, რომლის განმავლობაშიც პატენტმფლობელი იხდის მხოლოდ წლიურ საფასურს. ამ ვადის გასვლის შემდეგ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში შეღავათი აღარ მოქმედებს და პატენტის აღდგენა შესაძლებელია შესანარჩუნებელი წლის მე-7 თვიდან მე-12 თვის დასრულებამდე, მხოლოდ იმ პირობით თუ ერთდროულად გადახდილი იქნება შესანარჩუნებელი წლისა და პატენტის აღდგენის საფასურები.

როგორც აღნიშნულიდან გამომდინარეობს, შეწყვეტილი მოქმედების პატენტის აღდგენისათვის დადგენილია ერთწლიანი ვადა და თუ პატენტმფლობელმა არ ისარგებლა მითითებული შესაძლებლობით, პატენტის მოქმედება აღდგენას აღარ დაექვემდებარება (კანონის 54-ე მუხლი).

დასაშვებია ძალაში შენარჩუნების რამდენიმე წლიური საფასურის ერთდროულად გადახდა 8 წლიანი ვადის ჩათვლით.